

საგაზელო



საერთო რედაქცია ორმახეთი 6 თბილისი 2006 №25 (2647)

ფასი 50 თეთრი

ისე განსარეო, როგორც განვანსარეო! ● გამაღლობო ●

ხმანსლეილია საქართველო
რუსებს ხმა არ ამოაღებინა

46:19



გამაღლობო

БЫВАЕТ, СОВЕСТЬ УХОДИТ КАК
ГАЗ И ПОЛУЧАЕТСЯ  ГАЗПРОМ

ძმა აქაა და ჩუქაქაა

გუშინ გვიან ღამით თბილისში ჰაინც ტომილერი ჩამოვიდა. ეს მისი პირველი სტუმრობა საქართველოში და მედიის ინტერესი ბუნებრივია, თუმცა ძმათაგან უფროსმა ტომილერმა გუშინ ურნალისტებთან ურთიერთობაზე თავაზიანი უარი განაცხადა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა კი სტუმარი „თბილისი მარიოტში“ დააბინავეს და მოგვიანებით მცირე ექსკურსიაც მოუწყვეს დედაქალაქში.

კლას ტომილერის მეორე თანამემწის რალფ მინგეს გრაფიკი კი ასეთია: დღეს გამთენიისას ჩამო-

ფრენა, 7 და 9 თებერვალს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრებზე დასწრება — ორივე მატჩს „ოლიმპის“ სტადიონი უმასპინძლებს.

ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა საკმაოდ განსხვავებული იქნება პორტუგალიურისგან.

ახალგაზრდული ნაკრები დღეს გამთენიისას უნდა დაბრუნდეს პორტუგალიიდან და კობა ჟორჟიკაშვილიც სააზერბაიჯანო შემადგენლობას დღესვე გამოაცხადებს.

გიორგი ნოზაძე


სანაკრებო სომეხი და ინტერვიუ

საქართველოს 17-წლამდე ლთა ნაკრების თავკაც ჰერბერტ ცანკერზე აქამდე ძალიან მშრალი ინფორმაცია გვქონდა, ახლა კი ისიც შევიტყვეთ, რომ ეს 42 წლის მწვრთნელი ბოლოს გერმანიაში, „ინგოლშტადის“ იუნიორთა გუნდთან მუშაობდა.

ცანკერი თბილისში, საქართველოს ნაკრების ბაზაზე ცხოვრობს და, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურისგან შევიტყვეთ, მისი თანამემწე ლევან ხომერიკი იქნება.

მოგესხენებათ, ხომერიკმა შარშან დაასრულა საფეხბურთო კარიერა და „ზესტაფონი 3“-ის მთავარი მწვრთნელი გახდა...

— ჰერბერტ ცანკერი საქართველოში ზაფხულშიც იყო ჩამოსული და „ზესტაფონი 3“-ში ერთად ვმუშაობდით — გვითხრა ლევან ხომერიკმა — გუნდს ათი დღე ის ავარჯიშებდა, მე კი ვეხმარებოდი და თარჯიმნის ფუნქციასაც ვკისრულობდი. სწორედ მაშინ იყო, ცანკერმა სამომავლო თანამშრომლობა შემომთავაზა. ასე მოვედი 17-წლამდე ლთა ნაკრებს ევროშესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე გერმანიის, რუსეთისა და მაკედონიის ნაკრებებთან მოუწევს ჭიდილი, საიდანაც ორი გუნდი გავა მომდევნო ეტაპზე და იმასაც შევასხენებთ, რომ ვგუფის მატჩები თბილისში გაიმართება.



ლევან ხომერიკი

ნკერმა სამომავლო თანამშრომლობა შემომთავაზა. ასე მოვედი 17-წლამდე ლთა ნაკრებს.

— ცანკერზე თითქმის არაფერი ვიცი. შენ რას ვეჭვებ?

— კარგი, მეგობრული კაცია და ეტყობა, საქმეშიც გამოცდილია. გერმანელია და, რა თქმა უნდა, გუნდსაც გერმანული მეთოდებით ამ-

ზადებდა. ჭაბუკებისთვის კი ცანკერის ვარჯიშები ძალიან საინტერესო იყო.

— ახალი რა ნახე? — ჩემთვის სიახლე შეიძლება ბევრი არაფერი იყო, კარგა ხანს ვთამაშობდი შვეიცარიულ გუნდებში, სადაც სწორედ გერმანული მეთოდები სჭარბობს. ჭაბუკებს კი ცანკერმა მართლაც ბევრი ასწავლა. ჩვენმა ბიჭებმა გერმანული საფეხბურთო სკოლის ვაკუუმილები მიიღეს, რაც მათთვის ნამდვილად უცხო იყო...

ჰერბერტ ცანკერს მთავარი გამოცდის ჩაბარება შემოდგომაზე მოუწევს — საქართველოს 17-წლამდე ლთა ნაკრებს ევროშესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე გერმანიის, რუსეთისა და მაკედონიის ნაკრებებთან მოუწევს ჭიდილი, საიდანაც ორი გუნდი გავა მომდევნო ეტაპზე და იმასაც შევასხენებთ, რომ ვგუფის მატჩები თბილისში გაიმართება.

კობა ინასარიძე

ქართული დერბი სირაძის სასარგებლოდ ფინკამ ხიზანეიშვილს თავდასხმელობა დააწყებინა

გუშინ მეორე ბუნდესლიგაში ქართული დერბი იყო — დავით სირაძის აუე-მ შინ იაშვილ-ხიზანეიშვილის „ფრაიბურგი“ 1:0 დაამარცხა და ერცგებირგელმა უვე ელერსმა გოლი სირაძის პასით გაიტანა...

— კუთხური ჩავაწოდეთ, დასწრებაზე ვითამაშე და თავით ვურტყამდი ბურთს „ფრაიბურგის“ კარში, გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ ელერსმა მაინც დაამატა.

— აუე-ს სასტარტოში პირველად ითამაშე...

— ჩვენმა მწვრთნელმა ვერდ შადლიზმა მითხრა, მანამდე ორჯერ შეცვლაზე რომ ვათამაშე, ნორმალური შთაბეჭდილება დატოვე და ახლა „ფრაიბურგთან“ ქართველების წინააღმდეგ ძირითადად უნდა ვათამაშო.

— პირველი ტაიმის მერე რატომ შეგცვალა?

— პირველი ტაიმის ბოლოს კუნთი დამეჭიმა და შეცვლა თვითონ ვითხოვე. ახლა, ალბათ, ორი-სამი დღე მომიწევს ვარჯიშის გაცდენა.

— „ფრაიბურგთან“ გამარჯვება აუე-სთვის, ალბათ, ძალიან ძნელი იყო...

— პირველი ტაიმი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, მეორეში კი „ფრაიბურგი“ სულ გვიტყვედა, თუმცა ასპროცენტური საგოლე მომენტი ერთხელ შექმნა და შეკარემ გვიხსნა. „ფრაიბურგიდან“ საუკეთესო ალექსანდრე იაშვილი იყო. ოთარ ხიზანეიშვილი კი მატჩის ბოლოს შემოვიდა შეცვლაზე და... ფოლკერ ფინკემ ის თავდასხმაში გაამწესა — „ფრაიბურგი“ გვიტყვედა და მწვრთნელმა ხიზანეიშვილი, ალბათ, მაღალი ბურთების მოსაგებად დააყენა თავდასხმაში.

— შენ რა პოზიციაზე ითამაშე?

— ჩვენ სამი ფორვარდით ვთამაშობთ, ცენტრში ანჟეი იუსკოვიკია და ფლანგებიდან ოდნავ უკანდაწეული გარემარბები ეხმარებიან — მე მარჯვნივ ვთამაშობდი.

— დავით თავაჩიძე



ბადარი კითხილანს ფოტო

უადგილო აქტიურობა 800 ათასს თეთრი არ მოაკლდება

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურთან მორიგი ინტერვიუს საბაბი სომხეთ — აზერბაიჯანის შეხვედრების თბილისში გამართვის იდეა იყო, თუმცა, ბუნებრივია, რამდენიმე სხვა საკითხსაც შევეხეთ...

— რას ფიქრობთ თბილისში სომხეთ — აზერბაიჯანის შესარჩევი შეხვედრების გამართვაზე?

— ამგვარი ინიციატივა ჩვენგან არ უნდა მოდიოდეს. თავად მხარეებმა უნდა გათვალონ ყოველივე და შესაბამისი თხოვნით მოგვმართონ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, განვიხილოთ სომხებისა და აზერბაიჯანელების თხოვნა. შემდგომ კი, უკვე უფა მათ შუამდგომლობასთან ერთად ჩვენს პოზიციასაც გაითვალისწინებს და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას.

— რა დადებითი ან უარყოფითი მომენტები შეიძლება ახლდეს ამ მატჩების მასპინძლობას?

— დღეს გადაჭრით ძნელია თქმა, სომხეთ — აზერბაიჯანის მასპინძლობა ჩვენთვის კარგი იქნება თუ ცუდი. თუ მოგვმართავენ, სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

— ბუნებრივია, მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დონეზე ეს საკითხი ვერ გადაწყდება. ვინ იქნება ბოლო ინსტანცია?

— სულ მცირე, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. მესმის, რომ მეზობლების თხოვნას ანგარიში უნდა გავუწიოთ, მაგრამ ამ მატჩებს სხვაგვარი დატვირთვა აქვს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გაუჭირდება და ვერც მიიღებს ამგვარ გადაწყვეტილებას. ჩვენი აქტიურობა ამ შემთხვევაში უადგილოც არის. ჩემი აზრით, ეს შეხვედრები საქართველოში არ ჩატარდება და კარგი იქნება, თუ მათ ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანა უმასპინძლებს.

— ამ საკითხზე გოკა გაბაშვი-

ლის პოზიცია როგორია? — შევიძლიათ ჩათვალოთ, რომ იგივენაირი. ჩვენ საკუთარი პრობლემებიც ბევრი გვაქვს, თუნდაც იმავე სტადიონებთან დაკავშირებით.

— სტადიონს შეეხეთ და, რა ეტაპზეა „ეროვნული“ და „მიხილ მესხის“ რეაბილიტაციის თაობაზე მიმდინარე კონსულტაციები?


— მუშაობა ნოდარ ახალკაცის თბილისში დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდება. ეროვნული სტადიონის სარეაბილიტაციო ხარჯებს ძირითადად ალბათ თბილისის მერია და სპორტსაზოგადოება „დინამო“ გაიღებენ. „მიხილ მესხთან“ დაკავშირებით საქართველოს რკინიგზასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება და სამუშაოებს ფეხბურთის ფედერაცია დააფინანსებს.

გვინდა, სექტემბრამდე ორივე სტადიონს მივხედოთ. ახალი მწვრთნელი, ახალი მინდორის საფარი, ახალი განწყობა... მომავალი შესარჩევი ციკლი ახალ ათვლის წერტილად უნდა იქცეს.

— საქართველოს ნაკრები ფინანსურად მომგებიან ჯგუფში მოხვდა. სახელმწიფო ხომ არ შეამცირებს დაპირებულ თანხას ან მთლიანად თვითდაფინანსებაზე ხომ არ დატოვებს ქართულ ფეხბურთს?

— დღევანდელი მდგომარეობით, ბიუჯეტში მიზნობრივად ფეხბურთისთვის 800 ათასი ლარია გათვალისწინებული. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ამ თანხას არაფერი მოაკლდება და წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, გაიზრდება კიდევ.

გიორგი ნოზაძე






*123#

- სიანცა
- ცოგოჯი
- მანქანა
- ნახატი
- 18 +

- ჰომოსკოპი
- ჰანტი კუი
- ფახუთი
- აინი

GEO ჯეო



მიქსი MIX



wap.geocell.com.ge

- ჰომოფონიკური მანქანა
- MP3
- ფახი ფონი
- ფახი ანიმაციები
- ჰიქსი
- თამაზი

- თამაზი
- ჰომოფონი
- 18+
- ჰომოსკოპი
- ფახუთი
- აინი
- ჰანტი კუი

ლაშა ჯაკობია: საქართველოს ნაკრებში ფეხბურთელები არ უნდა ჰყავდეს



ორსახიანი ასათიანი მალხაზი ფეხებს ვერ იმორჩილებს

საქართველოს ნაკრების გამოთამაშებული მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივის“ დაცვაში ვეღარ იქნება — ეს თემა დღეს ძალიან აქტუალურია რუსულ პრესაში.

ასათიანმა ახლახან „სოვეტსკი სპორტის“ ჟურნალისტსაც უთხრა, რა ვენა, ფეხები თავისით გარბიან წინ და მე მათი შეჩერება არ შემეძლიაო. მართალიცაა, ქართველმა ქომაგმა კარგად იცის, რომ მალხაზის ადგილის სწორედ შეტევაშია...

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 2004 წელს სერგეი იგნაშევიჩი „ლოკომოტივიდან“ ცეცხლში გადავიდა და ცენტრალური მცველის ადგილი საპატრონო გახდა. ვინ, ვინ და ეს პოზიცია სწორედ ასათიანს ჩააბარეს, რაც იური სიომინს თანაშემწე ვლადიმირ ეშტრეკოვმა უჩრია.

მერე რკინიგზელების თავკაცი თავად ეშტრეკოვი გახდა და ასათიანიც დაცვის ცენტრში გამაგრდა. დრო გადიოდა, მოსკოველთა ქართველი მცველი კი დაუფარავად აცხადებდა, რომ მისი ადგილი არა დაცვაში, არამედ შეტევაშია...

ეს განწყობა მალხაზის თამაშზეც აისახა და ვინც „ლოკომოტივის“ ბოლო მატჩები ნახა, დამეთანხმება, „ასაკა“ წინ წასვლის უმცირეს შანსსაც არ უშვებდა ხელიდან. ჰოდა, ნოემბერში რუსულ პრემიერლიგა-სა და უეფას თასზე მალხაზი მცველისთვის უჩვეულოდ შედეგაინც იყო — სამი გოლი გაიტანა, თანაც სამივე გადამწყვეტი.

შედეგად, ეშტრეკოვმა რამდენჯერ

რმე იგი ნახევარდაცვაშიც დააყენა, ოღონდ, ეს უმეტესად მაშინ ხდებოდა, როცა გუნდი ვერ იგებდა, ანუ გოლი ჰქონდა გასატანი...

რა ხდება ახლა? რა და, რკინიგზელთა ახალი მწვრთნელი, სერბი სლავოლიუბ მუსლინი მოსკოვში ხეირიანად ჩასული არ იყო, რომ აიჩემა, ასათიანი მცველია და არა ნახევარმცველიო. თან თავი „დაიხლება“ — გუნდის კაპიტანი და გამოთამაშებული დმიტრი ლოსკოვი კლუბის ლიდერი და შეუცვლელი ფეხბურთელიაო. ვინ იცის, რა იფიქრა ამ დროს მალხაზმა, ფაქტი კი ისაა, რომ ერთი კვირის წინ არაბულ შეკრებაზე ჩატარებულ ორ ამხანაგურ მატჩში ჩვენებურს ვეღარ იცნობდით — აბუ-დაბიში ჩასული რუსი ჟურნალისტებიც გაკვირვებულნი წერდნენ, ასათიანი დაცვაში ადარ ჩერდებო.

და ისმის რუსული კითხვა: ბოლოს და ბოლოს, სად არის ამ ბიჭის ადგილი?

— ჯერჯერობით დაცვაში, მაგრამ... — „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ ვალერი ფილატოვის „მაგრამ“ ბევრს ნიშნავს და აი, რატომ:

— მე ყოველთვის მქონდა ისეთი ვარიანტი, რომელშიც ასათიანის წინ წაწევას შესაძლებელი. თუ გადაწყვეტით, რომ მალხაზი დაცვიდან გამოვიყვანოთ, მაშინ ის აუცილებლად შეტევაში ითამაშებს — განაცხადა ფილატოვმა და ენახოთ, რას იზამს მუსლინი...

ბახა ზალაგბერიძე

სარკოვის „მეტალისტის“ 25 წლის ფორვარდ ლაშა ჯაკობიას, ვისაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ექვსჯერ უთამაშია და ერთი გოლი გაუტანია, ერთ-ერთმა უკრაინულმა სააგენტომ ინტერვიუ ჩამოართვა, რასაც შემოკლებულად ვთავაზობთ...

— ევრო 2008-ის შესარჩევში ჩვენი ჯგუფი ყველაზე ძლიერია. ამას მხოლოდ იმიტომ არ ვამბობ, რომ ჯგუფში საფრანგეთი და იტალია არიან — უკრაინასა და შოტლანდიასაც შესწევთ იმის ძალა, ფავორიტებს მოსვენების საშუალება არ მისცენ და არც იმას ვურჩევ ვინმეს, რომ საქართველოს ნაკრებს ზერელედ შეხედონ.

— კლაუს ტოპმიოლერამდე საქართველოს ნაკრებს აღენ ვირეხი წვრთნიდა, მაგრამ მას დიდი წარმატებისთვის არ მოუწვია — სწორად მიგაჩნიათ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კვლავ უცხოელი მწვრთნელი მიიწვია ნაკრებში?

— ეს აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა. მხოლოდ უცხოელ მწვრთნელს შეუძლია დისციპლინის დამყარება ქართულ გუნდში. საქართველოს ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავს — ზოგი შემსრულებელია, ზოგიც გუნდისთვის ძალიან სასარგებლო მოთამაშეა, მაგრამ არ ჩანს ახალი ხედევა, რითაც შეკრული გუნდი უნდა გაკეთდეს. საჭიროა ისეთი კაცი, რომელსაც განსხვავებული კონცეფცია აქვს ფეხბურთზე, ანუ უცხოელი მწვრთნელი. ვფიქრობ, ტოპმიოლერი იდეალური კანდიდატურა იყო საქართველოს ნაკრებისთვის — თუ ჩვენს ენერგიულ და ტექნიკურ სტილს გერმანული პრაგმატიზმი დაემატება, ეს ძალიან მოულოდნელი ნაზავი იქნება ნებისმიერი მეტოქისთვის.

— იტალიის ნაკრებთან თამაში თქვენი ოცნებაა და ალბათ ტოპმიოლერთან არ გეჭნებათ ისეთი უთანხმოება, როგორც მის წინამორბედ ვაიოზ დარსაქსთან გქონდათ...

ქართველები რუბინში და თურქეთში

რუსეთის პრემიერლიგის მეოთხეადგილოსანმა, ყაზანის „რუბინმა“ თურქულ შეკრებაზე მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა — შვედურ „ლილესტრომთან“ 0:2 წააგო.



— თებერვლის ბოლოს საქართველოს ნაკრები მალტის ტურნირზე მიწვეული და იმ დროისთვის უკვე ორი შეკრება მექნება გავლილი „მეტალისტში“, კარგად ვიქნები მომზადებული და დარწმუნებული ვარ, ტოპმიოლერთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდება.

— თუ რუსეთს არ ჩავთვლით, თანამებობობის ქვეყნებიდან უკრაინაში ყველაზე მეტი ლეგიონერი საქართველოს ჰყავს...

— ქართველებსაც გვიკვირს, თუ საიდან გვყავს იმდენი ფეხბურთელი, რომ ნახევარ ევროპას ჰყოფნის. არადა, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ჩვენს ქვეყანაში არსებული პირობების მიხედვით, საქართველოს ნორმალური ფეხბურთელები საერთოდ არ უნდა ჰყავდეს...

— მაშინ რაშია საიდუმლო? — უბრალოდ, საქართველოში ფეხბურთი ძალიან უყვართ. ჩვენთან საფეხბურთო სკოლა არცთუ ბევრია და იქ სათანადო პირობებიც არაა, მაგრამ ფეხბურთელობის მსუ-

რველია ბევრი. ქართველ ბიჭუნებს კარგად ესმით, რომ მათთვის ფეხბურთი რეალური საშუალებაა, ცხოვრება მოიწყონ, რისთვისაც ტყავში ძვრებიან. ასე იქნება არცთუ ურიგო საფეხბურთო ექსპორტი.

— და უკრაინის ჩემპიონატი ძალიან მომხიბვლელია ქართველი ფეხბურთელებისთვის?

— მთლად ასე არ ვიტყვი. ჩამოყალიბებული ფეხბურთელისთვის უკრაინის უმაღლესი ლიგა პერსპექტიულია, მაგრამ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს აქ ჩამოსვლას არ ვურჩევდი. უკრაინაში ლეგიონერებისგან მყის შედეგიან თამაშს ითხოვენ და ახალბედა ფეხბურთელებს მხოლოდ თითო-ორიო-ლა შანსი ეძლევათ თავის გამოსაჩენად. ასე რომ, თუ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს უკრაინაში თამაში უნდა, უკეთესი იქნება, აქ დასავლეთევროპული ჩემპიონატიდან მოხვდეს, მაგალითად, ბელგიიდან, შვეიცარიიდან ან პოლანდიიდან.

თქვენი ინტერვიუ


კლაუს ტოპმიოლერთან

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

მოგვანოდეთ კითხვები და პერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



იაშვილი ჯერ მოხუციანია

კვიროსზე მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ მეორე ამხანაგური მატჩი პოლონურ „კორონასთან“ გამართა და ფრედ, 1:1 ითამაშა. შეხვედრის პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, თუმცა საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. შეხვედრის შემდეგ კი ჯერ პოლონელებმა ისარგებლეს ჩვენების დაცვის შეცდომით და დაწინაურდნენ, ხოლო შემდეგ გიორგი მერეაშვილმა იყოჩაღა და გაათანაბრა.

წინა კვიროსული მატჩის დარად, „დინამომ“ ახლაც ორი შემადგენლობით ითამაშა. საინტერესოა, რომ „კორონასთან“ შეხვედრისას მოედანს დაუბრუნდა სანდრო იაშვილი, ვინც შემოდგომაზე დაშავდა და ვარჯიში ახლახან განაახლა.

„დინამო“ პირველ ტაიმში: გრიშკაშვილი, ულობჟანიძე, ჭემოკლიძე, გიგაური, ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, ვიერა, ამბროზიო, ბობოხიძე, დვალი, მელქაძე. მეორე ტაიმში: გრიშკაშვილი, გ. კაშია, თომაშვილი.



სანდრო იაშვილი მოედანს დაუბრუნდა

ლი, ორბელიაძე, აკობია, ა. კალაძე, მახარაძე, ჩიროკაშვილი, გ. მერეაშვილი, კვიციანიშვილი, მელქაძე (იაშვილი 70).

მომდევნო მატჩი თბილისელებმა ზევ რუმინულ „პანდურიისთან“ უნდა გამართონ, თუმცა არაა გამორიცხული, მეტოქე შეიცვალოს.

კობა ინასარიძე

ბათუმი ზღვისპირულ კანდიდატებს დაეჩვი

„ბათუმი“ ტესტ-მატჩებში მოგებებს დაეჩვი, ბრაზილიელი ტიანო კი — გოლებს. ოთარ გაბელიას გუნდმა ფოთის „კოლხეთს“ 3:1 აჯობა, გოლები კი ტიანოს გარდა, რევაზ ჯიქიამ და ვლადიმერ დვალისშვილმა გაიტანეს.

„ბათუმი“ 2:1-ს იგებდა, როცა კოლხეთის ვეტერანმა, ჯონი შალამბერიძემ შეაგლო ერთი საპასუხო.


შეგახსენებთ, ბათუმელებმა ერთი კვირის წინაც სძლიეს ფოთელებს და მაშინაც ორბურთიან სხვაობით — 2:0.

ოთარ გაბელიამ გვითხრა, გუნდის დაკომპლექტება დასრულებულია, მხოლოდ ბრაზილიელებს ვაკვირდებით, კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ კიდევ ორი ტესტ-მატი გვაქვს დაგეგმილი და გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებთ.

„ბათუმი“ კოლხეთთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: თოთლაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, გვიგაშვილი, სეთურიძე, რ. ონიანი, და სილოვა, ჭეპაძე, რ. ჯიქია, ტიანო, დვალისშვილი, შეცვლავ შევიდნენ: სომხიშვილი, დუმბაძე, რამიშვილი, ექონია, უგრეხელიძე.

ილია ნანობაშვილი

ზესტაფონმა სატურნზე პერ ბაიარა



თემურ მახარაძე

კვიროსულ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ რუსეთის პრემიერლიგელ რამენსკოეს „სატურნთან“ 0:2 წააგო. მოგახსენებთ, ფეროლებს კუნძულზე არ ჩაჰყვით რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც კობა ჟორჟიაშვილის 21-წლამდელთა ნაკრებს პორტუგალიაში ახლდნენ და ხვალიდან თბილისში მოემზადებიან აზერბაიჯანულ ახალგაზრდებთან (7 და 9 თებერვალს) სათამაშოდ.

„ზესტაფონის“ შემადგენლობა ასეთი იყო: გ. ჭანტურია, მამსაშვილი, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, ბ. ნოზაძე, ნუნდი, თურმანიძე, ფიფია, იმედაძე, ონიანიძე.

საინტერესოა, რომ თემურ მახარაძეს ძირითადი თერთმეტეული არ შეუცვლია. იმერლებს პირველი გოლი მე-20 წუთზე ჟან კარლოსმა გაუტანა პენალტით, 61-ეზე კი ესიპოვმა მეორე შეაგლო.

მომდევნო კვიროსულ შეხვედრას მახარაძის გუნდი რუსეთის პრემიერლიგის დებიუტანტ „ლუჩ-ენერგისთან“ გამართავს.

ილია ნანობაშვილი

ქსნაქსპარტეზის ზაპი

პოლიტიკური უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ერთმანეთის პირისპირ ერთ დროს „ნახევარმეზბი“ — თბილისური „ლოკომოტივი“ და „სპარტაკი“ დადგნენ.

გუნდების სასტარტო შემადგენლობები ასეთი იყო:

ლოკომოტივი: ჩალაძე, ავალიანი, თუთბერიძე, ებრაძიძე, ფურთუხია, ობეაძე, თავბერიძე, ჩიკაძე, ულენტი, პეტროსიანი, ყენია. სპარტაკი: ნაფეტვარიძე, ტაბიძე, იმნაიშვილი, ელიზბარაშვილი.

ლი, დაუთიშვილი, გაგნიძე, მალიჩავა, ჩანტლაძე, ურუშაძე, ოქროშიაშვილი, ლობჟანიძე.

პირველმა ნახევარმა ლოკომოტიველთა უპირატესობით ჩაიარა, თუმცა უგოლოდ დასრულდა. მეორე ტაიმში კი ორივე გუნდის შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეიცვალა და დუბლიორებმაც ყველაფერი გაიღეს თავის გამოსაჩენად. ანგარიში სპარტაკელმა მადლაფერიძემ გახსნა, საპასუხო გოლი კი 15 წლის ყენიამ გაიტანა, რომელმაც წინა შეხვედრაშიც გამოიჩინა თავი — თამაშიც 1:1 დასრულდა.

ნამატჩევეს ორივე გუნდის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეხვედრამ გაამართლა: „ლოკომოტივის“ საზრუნავი ახალგაზრდებისთვის ფსიქოლოგიური ტვირთის მოხსნა და „საუმაღლესი ფეხბურთთან“ შეგუება, „სპარტაკს“ კი ჯერაც არ დაუსრულებია სასულე ქცევა და გამოსაჩენი და გასინჯვაზე მყოფი რამდენიმე ფეხბურთელს აკვირდება.

გიორგი ნოზაძე

ტორპედოსთვის ქუთაისი თბილისია

ქუთაისის „ტორპედოს“ თოვლმა და უშუქობამ გვეგები აურიდა — რევაზ ბურაკაძის გუნდი თბილისშია და კვლავაც ფიზიკური კონდიციების აღდგენაზე მუშაობს, ამხანაგური მატჩები კი ჯერ არ უთამაშია.

„წინასწარი გვეგით, მზადდება ქუთაისში უნდა გავგველო. ახლა ხან იპოდრომზე, ხანაც ეროვნული სტადიონის სათადარიგო მოედანზე ვვარჯიშობთ. ამინდს კი გააჩნია, მაგრამ უფრო მეტია, 13 თებერვ-

ლამდე თბილისში მოვემზადებით. ორი-სამი დღე გვჭირდება და მერე ტესტ-მატჩებსაც ვაგმართავთ“ — გვითხრა გუშინ ბურაკაძემ.

შემადგენლობის მხრივ, ბოლო ორ კვირაში არაფერი შეცვლილა. „ტორპედოში“ კვლავაც გასინჯვაზე ბევრი ახალგაზრდა, რომელთა შერჩევა სწორედ საკონტროლო თამაშების შემდეგ მოხდება.

ილია ნანობაშვილი

კოსმოპოლიტიზმი მიმოიღვას

რა კავშირშია ერმანეთთან გაზი და სპორტი? „გაზიანთე-ფსფორს“ თუ არ ჩავთვლით, არაფერში... ნუ, ჯანდაბას, კიდევ, რუსებმა ქართველებს გაზი გამოუერთეს, ქართველები გაბრაზდნენ და რაგბიში მოუგეს. მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ჩვენს მიმოხილვასთან თავად გაზი არ არის არაფერ შუაში. ეს გაზი, ალბათ, იმიტომ ნამოგვცდა, რომ წინა კვირაში არ გვექონდა. მოკლედ, თუ მაინცდამაინც ნამოცდენა იყო, უფრო გაზი უნდა ნამოგვცდენოდა, ვიდრე რამე სხვა სიტყვა, მაგალითად, კენგურუ.

ჰოდა, რა ვქნათ ახლა? მოდი, კენგურუზე გავგახსენდეს ავსტრალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გავიდა, არ გინდათ? მერე, ვთქვათ, ასე ნავიდეთ: ვიპოთხაოთ, ვინ გახდება ჩემპიონი, დავასახელოთ რამდენიმე კანდიდატი, მათ შორის საფრანგეთი და იტალია და... იქა ვართ!

კი მაგრამ, ჩვენს დღევანდელ მიმოხილვასთან საფრანგეთი და იტალია რაღა შუაშია? ვითომ, საქართველოს ნაკრების ჯგუფზე ვნერთ? რა ვიცი...

თუ ასეა, მოდი, ისა ვთქვათ, რომ ეს ჯგუფი უმალ ტელე-შოუა, ვიდრე მართლა ჯგუფი. გახსოვთ „ბლეფიდან“? გინდ, ნითელზე დადე, გინდ, შავზე, მაინც ზერო მოიგებსო და ჩელენტანო რულეტის დოლს რომ დაატრიალებს? მართლაც ზერო დაჯდება, ჰოდა, ასეა იმ ჩვენს ჯგუფშიც: გინდა მოიგე, გინდა ნააგე, კენჭისყრამ ისეთი ტელეგრანდები დაგვაჯახა, ფული თვითონ მოვა... უკაცრავად, მივა. ერთი სიტყვით და ფრიად სამწუხაროდ, ჩემი ჯიბიდან სადღაც შორს ამოჰყოფს თავს და მერე იმ შორეული ადგილიდან რომელიმე სტადიონის ახალ მინდვრად იქცევა თუ რომელიმე რესტორანში მწვადად, ეს, აბა, საიდან უნდა ვიცოდე.

მაგრამ, ეს ყველაფერი ამ მიმოხილვის თემასთან საერთოდ რომ არაფერ შუაშია?

რა ვქნა, კაცო, რა წყალში გადავვარდე, ისევე გაზზე ხომ არ დავინყებ?! ანდა, რომც დავინყო, რა დაშავდება, რო?

გაზი, გაზი, გაზინედი ზიდანია... არა, არა, ზინედი ზიდანია იმ დროს ფეხბურთელი აღარ იქნება. სამაგიეროდ, კლავს ტოპმიოლერი იქნება მწვრთნელი.

მერე, ვითომ რა, საფრანგეთი ექვს ქულას ვერ აგვართმევს?

ვერა!

იტალია?

ვერა!

ქალის სახელს ვერ გათქმევინებ?

ინა.

ვინა?

უკრაინა! ისიც ექვსს წაიღებს, თუ შევჩენკოს მაინცდამაინც იმ დღეებში კუჭი არ აეშალა.

და თუ აეშალა?

მაშინ ჩვენ ნავილებთ ოთხს.

სქოთები?

ვინ იყვნენ და სქოთები, დაამტკრიეს ბოთლები.

ეგ ნაღდი, მაგრამ მოედანზე?

დაიცა, ვინ ვის რას ეკითხება და ვინ ვის რას პასუხობს, ეს რა, ინტერვიუა თუ მიმოხილვა და, საერთოდ, რამდენი კაცი წერს ამ ყველაფერს?

ერთი.

აბა, კითხვა-პასუხი რაღაა, ვაგიჟდი?

ჰო, აბა.

აა! მაგრამ ეს ყველაფერი დღევანდელი მიმოხილვის თემასთან კავშირში აშკარად არ არის და იმიტომ, მოდი, ისევე გაზზე გადავიდეთ...


გაგიჟდა პაპუნა კილია

P.S. ბარსელონა ბარსელონის კინობითი ფორმაა თუ...



საქართველო 46:19 რუსეთი

4 თაბარკალი. თბილისი. ართველი სტადიონი. 20 000 მაყურებელი



საქართველო (15-1): ბარკალაია, მაჩხანელი, ურჯუკაშვილი (სოხაძე), ი. გიორგაძე, ხამაშურიძე (შკინინი); ჯიმშელაძე, აბუსერიძე (სამხარაძე); უდესიანი, ლაბაძე, ურუშაძე (მაისურაძე), გორგოძე (ლათუნაშვილი), ზედგინიძე (კაპ), ზერაქაშვილი (კობალიანი), ა. გიორგაძე, შველიძე (კუთარაშვილი)

6ლ: ა. გიორგაძე, ჯიმშელაძე, მაჩხანელი, უდესიანი (2), სამხარაძე; 5ბ: ურჯუკაშვილი (4), სოხაძე; 2ს: ურჯუკაშვილი

მსაჯები: ჟან-პიერ მატეი; ერიკ ბრიკე, ფერნან პერიერა (საფრანგეთი); სინბინი: გიორგაძე, ბროკინი 0:3 (3), 3:3 (7), 10:3 (14), 10:6 (20), 17:6 (28), 20:6 (30), 20:9 (35), 27:9 (39), 27:12 (42), 32:12 (44), 39:12 (57), 39:19 (69), 46:19 (77)

რუსეთი (15-1): კლიუნიკოვი (კობზევი), ნოვიკოვი, კუზნი, ტრიშინი, გვოზდოვსკი; კ. კუშნარიოვი, იანუშკინი (ბიკანოვი); კორშუნოვი (გარბუზოვი), გრაჩოვი (კაპ), ი. კუშნარიოვი (რენევი), პანარენკო, ვოიტოვი, პრეშჩენკო (ო. შუკაილოვი), რომაქი, ბროკინი

1ლ: შუკაილოვი; 1ბ: ნოვიკოვი; 4ს: ნოვიკოვი



ირაკლი მაჩხანელი რუსები გაარღვია

სალგუნდაობა ეროვნულზე რაზმი რუსებისთვის კალიან მართულია

კიდევ ერთი დიდი ჯახი ჩავარინინეთ! კიდევ ერთხელ დაელახურეთ და დაელელოვეთ მარადიული მეტოქე! უმანოდ დავეტოვეთ, ბალებივით დაეჩაგრეთ! ბორჯღალოსნები რუს „დათვებს“ რომ ერკინებინან, გამარჯვების მუღამისა და „მარილის“ ხსენებაც სირცხვილია, მათთან თამაშის მოგება სინარულზე მეტია. ეს არა მხოლოდ თამაში და ბურთობაა. საქართველო — რუსეთი არასდროს ყოფილა მხოლოდ სპორტი და 15 მეტოქის ჯობნის სურვილი, რადგან რუსეთი ვერასდროს იქნება ისეთი, მასში მხოლოდ მეტოქე დაეინახოთ. თვითონ რუსეთი არ გვაძლევს ამის საშუალებას. უკვე ზეპირად ვიცით რუსები, ბურთიანებიც და უბურთოებიც. თაობები იცვლება, მწვრთნელები მოდიან და მიდიან, მაგრამ ჩვენ ორთა შორის სულ ერთი გუნდი იგებს. მათი ადრინდელი თავკაცი, ახლა კი თბილისში სამხრეთაფრიკელი ბლიკის ბრუნველი ასისტენტად

ჩამოსული ალექსანდრ პერეუხინი ამბობს, ეტყობა, გაზის გადაკეტვა თქვენზე კარგად მოქმედებსო. „დათვების“ ახმაზი კაპიტანი სერგეი სერგეევი ისე წავიდა ნაკრებიდან, მისი გუნდი ბორჯღალოსნებთან გამარჯვებული ერთხელაც ვერ გავიდა მოედნიდან. ასე მიდის ზორბა ვიანესლავ გრაჩოვიც. ამათი თაობა ქართველ კაცებთან მეტნაკლებად თანაბარ ბრძოლას მაინც ახერხებდა. და ახლა? რა საცოდავები იყვნენ რუსები გუმინწინ. ის ორკვირიანი აფრიკული შეკრება და „ლუზი“ ქართველებმა 15 წუთში გამოუბრტყეს თავიდან. ლელო! კიდევ ლელო! კიდევ და კიდევ! ბორჯღალოსნებმა ექვსჯერ დააღწიეს „დათვები“ და ურთიერთჯახების რეკორდს სამით გადააჭარბეს. სარეკორდოდ ბევრია 46 ქულაც (ძველი რეკორდი — 29) და 27-ქულიანი სხვაობაც (ძველი — 12). ეს უკვე ადარ იყო ორი თანაბარი გუნდის დამაბული ჯახი. ეს იყო ერთი გუნდის მიერ მეორის

დაჯახვა თამაშშიც, ბრძოლაშიც, ძალაშიც, მოხერხებაშიც, ცოდნაშიც, შერკინებაშიც, ხაზშიც, ყველაფერში. საქართველო — რუსეთის სარაგბო ომის ერთ-ერთი და ყველაზე ცალგუნდა ბრძოლა, რომელსაც რუსები კარგა ხანს ვერ წაშლიან ქართველებისგან დაბინდული გონების უჯრედებიდან. ლაღად და სწრაფად, ძალითაც და მოხერხებითაც, ქართველი ვაჟკაცები მიბრძოდნენ რუსთა დამაბურულ მწვობრში. რა თაობა მოდის! 2003 წლის მსოფლიოს თასის მონაწილეთაგან რუსეთთან II მორაგბე იყო და ძველებს არაფრით ჩამოუვარდებიან ახლები. გორგოძე და ზერაქაშვილი, მაჩხანელი და ბარკალაია. არ ჩამოვთვლით, ბიჭებო, ყველანი მაგრები ხართ. გაცილებით უკეთ ათამაშებთ ბურთს, ვიდრე ხუთი წლის წინ. პასი არ გააფუჭოთ, თორემ თქვენი გული და ღვიძლი ყოველთვის იდო ეროვნულზე.

ირაკლი ფირაფხილი



ფიგაროს ქორწინება

რუსთა ენითვე ვთქვათ, პუშკინს დაუწერია, როცა გულს სევდა და გამოუვალი კაეშანი შემოგაწვება, წახსენ შამპანურით სავსე ბოთლი ანდა „ფიგაროს ქორწინება“ გადაიკითხეო. ჩვენის ვიწრო გაგებით, გადასაკითხად მივამატებდით „ყოჩაღ ჯარისკაც შვეიცის ფაფურაკებს პირველ მსოფლიო ომში“, საცქერლად კი შაბათის სარაგბო თამაშს. ეს მართლაც ივარგებს ჯავრის გადასაყრელად: საქართველო — რუსეთის სწორედ ამ მატჩის კასეტა ან დივიდი ჩააგდო და უცქირო. ასე მგონია, რომ უეჭველად ხასიათზე მოხვალ. იფ-იფ-იფ და უფ-უფ-უფ. საერთოდ, ასე იქმნება ისტორიული მარაგი. და ისტორიაც ასე იქმნება. ეგებ, დიდ რუსეთს სულაც არ აინტერესებს თავისი რაგბი. იქაურ მედიაში ორ, შვიდი ნომერი შრიფტით აკრეფილ სტრიქონს თუ გაიმეტებენ ხოლმე, ჩვენთვის კი ეს დიდი ისტორიაა, რადგან ჩვენ ეს თამაში გვიყვარს და მისი იმედი გვაქვს. ჩვენ ეს თამაში შეგვიყვარდა და მისი არსი ამოვიცანით, ამიტომ ეს კარგა ხანია, ჩვენია. ხოლო რაც ჩვენია, ის უკვე ისტორიაშია. ეს ბიჭები კიდევ, შაბათს რომ ტრიალებდნენ იმ დიდი შრომით გაწმენდილ მიწორზე, უკვე სულ სხვა ბიჭები არიან. ქართული რაგბის ძველ დეკებს, ნამდვილ ვარსკვლავებს ეკუთვნით ალბათ ყველაზე დიდი მადლობა, როგორც კი შეიძლება არსებობდეს კაცის გულში, თუმცა ერთი უბირი მაყურებლის გაქანებითა ვერძნობ, რომ ეს ბიჭები სხვანი არიან. ისინი ლაღად სწავლობენ, ლაღად თამაშობენ და თავში არ უდგათ ძველი მანქანები. ანუ ამ მანქანების განახლებაზე დროს არ კარგავენ. ეს ნიშნავს იმედს, რომ ყოველი ნაბიჯი იქნება წინ. მიიმედ, მაგრამ წინ. ამიტომ ეს თამაში „ფიგაროს ქორწინება“ და საერთოდ, საქართველო — რუსეთის რაგბი თანდათან იქცევა ერთ დიდ, ჩვენთვის სახალისო ამბად. მე ასე მგონია და რა ვიცი. ნაკლებს ვინერვიულებთ ხოლმე და ვიხალისებთ.

მატჩის სტატისტიკა
პირველი ტაიმი
მე-3 წუთი: საქართველო ცენტრში დაჯარიმდა და ნოვიკოვმა 45 მეტრიდან ანგარიში გასხსნა — 0:3
7: ურჯუკაშვილმა საჯარიმოთივე უპასუხა — 3:3
14: 5-მეტრიანი ჯარიმა ქართველებმა აუტზე გადაიტანეს, დერეფანი მოიგეს, მაგრამ მიანენენ და ჯგუფური ლელო გაიტანეს (ა. გიორგაძე). ურჯუკაშვილმა გარდასახა — 10:3.
20: ნოვიკოვმა მეორე შორეული დარტყმაც გაიტანა — 10:6.
24: ურუშაძე მბოჭავებს დაუსხლტა და 40 მეტრი ირბინა, მაგრამ გვიან ნამოეშველნენ და დიკარგა ბურთი ლელოდან 10 მეტრში.
27-28: მორკინალებმა — გიორგაძემ, შველიძემ და უდესიანმა რამდენჯერმე დარტყეს, რუსთა დამცველები ხაზთან მიიმწყვდიეს და ჯიმშელაძემ უპრობლემოდ დადო ლელო. ურჯუკაშვილმა გარდასახა — 17:6.
30: ურჯუკაშვილმა საჯარიმოც გაიტანა — 20:6.
34: ფრანგმა მსაჯმა მატეიმ აქცენტი გიორგაძე გაასინბინა.
35: ნოვიკოვმა მესამე საჯარიმო დაარტყა და ესეც გაიტანა — 20:9.
37: ნოვიკოვმა პირველად ააცილა, 45 მეტრიდან.
39: მაჩხანელმა გრაჩოვს ბურთი ნაართვა, 70 მეტრი ირბინა და ლელოში მბოჭავებიანად შევარდა. ურჯუკაშვილმა ურთულესი გარდასახვა შეაგდო — 27:9.
მეორე ტაიმი
42: მეორე ტაიმიც რუსებმა გასხსნეს. ნოვიკოვი საჯარიმო — 27:12.
44: რუსების მეოთხე საჯარიმოს ქართველებმა მეოთხე ლელოთი უპასუხეს. 5-მეტრიანი შერკინება ლელოში შეათრიეს და უდესიანმა დაამინა. ურჯუკაშვილმა გარდასახვა ააცილა — 32:12.
49-52: რუსებმა რამდენჯერმე შეუტყეს მოდუნებულ ბორჯღალოსნებს, მაგრამ უქულოდ.
56: რუსთა ხაზთან დაემკვიდრდით. 5-მეტრიანი შერკინებიდან ზედგინიძემ კენტად შეუტია და ზედ ხაზზე გააჩერეს.
57: რუსები ვერაფრით ახერხებენ ბურთის მოხელთებას და სიტუაციის განმუხტვას. ხაზთან ჯარიმებიან და მასპინძლები კარში დარტყმის მაგივრად, შერკინებას ითხოვენ. მეოთხე ლელოს ტყუპისცალი გაგვაქვს, ოღონდ ამჯერად უდესიანი მარჯვენა მხრიდან ამიწვებს. ურჯუკაშვილი ზუსტად ურტყამს — 39:12.
69: რუსებმა რამდენიმე წუთის წინ ერთბაშად ოთხი მოთამაშე შეცვალეს (სამი მორკინალი), 10-მეტრიანი დერეფნიდან მოლი ააგორეს და გუნდური ლელოს გატანა მოახერხეს (შუკაილოვი). ნოვიკოვმა გარდასახა — 39:19.
74: ისევე შემოგვიტყეს რუსებმა, მაგრამ გორგოძემ გრაჩოვი მოედნიდან გადადგინა.
77: ლაბაძემ რუსთა აუტი მოიგო და შეუტია. ჯიმშელაძე, სოხაძე და... სამხარაძე იოლად გაძვრა რუსების დაცვის რიგებში. თემო სოხაძემ გარდასახვა შეაგდო და პირველი სანაკრებო ქულები მიითვალა — 46:19.



ნამახრავს

რუსმა მორაგებებმა გასახდელში ოდენ ბარვის ასაღებად შეიარეს და სტადიონიდან ისე უშალ გაუქმდნენ, რომ ოფლიანებმა ცხელი შხაპიც არ მიიღეს. სანამ ქართველთაგან მინგრეული რუსები ავტობუსამდე მივიდოდნენ, რამდენიმე მატჩის შემდგომი კომენტარიც ჩაეწერეთ, თუმც ეს ისე უხალისოდ გააკეთეს, რომ ერთი-ორი გამონაკლისის გარდა საინტერესო არაფერი უთქვამთ.

ვიარესლავ პრანოვი, რუსეთის ნაკრების კაპიტანი: „წელი მტკიცე სამინდოდ და პრესკონფერენციაზე ვერ დავრჩები. მატჩზე კი რა უნდა ვთქვა? თვითონ ნახეთ ყველაფერი. არაფერი გამოგვივიდა, ასე სუსტად საქართველოსთან არასდროს ვეთამაშა. მეონი, ისე დავასრულე კარიერას, საქართველოს დამარცხებას ვერ მოვესწრები. არ მინდა, ცხელ გულზე ნათქვამი გამომივიღეს, მაგრამ დიდი შანსია, ეს

ჩემი ბოლო მატჩი იყოს ნაკრებში“.

გლიკის სრუნიშვილი, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „დღეს საზიზღრად ვითამაშეთ, საქართველო პირიქით, შესანიშნავი იყო... მე მქონდა ქართველებზე საკმაოდ ბევრი ინფორმაცია, მაგრამ თუ ასე მაგრად ითამაშებდნენ, ნამდვილად არ მეგონა. როდესაც რუსეთის ნაკრების მწვრთნელად დამნიშნეს, შეეთანხმდით, რომ ახალ ნაკრებს გავაკეთებდი. დღეს ძალიან სასარგებლო ვაკეთილი მივიღეთ. მატჩზე მეტს ვერაფერს ვეტყვი, რადგან სათქმელიც არაფერია... ჩვენ გვაქვს შანსი, 2007 წლის მსოფლიოს თასზე მოვხვდეთ, ოღონდ დღეის შემდეგ ეს გზა უფრო დაკვივრებულია და გართულდა. უბედური ვიქნები, თუ მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტ, შესარჩევ ეტაპზე საქართველოს აღარ შევხვდებით“.

რუსებიდან პრესკონფერენციაზე მხოლოდ მათი მწვრთნელი **ალე-**

ქსანდრ პირვესნი მოვიდა, თუმცა ბევრი არც მას ულაპარაკია:

„როგორც ჩანს, „ქართული კომპლექსი“ ვერა და ვერ მოვიშორეთ. წინა მატჩებში მთავარი მწვრთნელის რანგში ჩამოყვება გუნდი და ვერც მაშინ გავიმარჯვეთ. ძალიან იმედგაცრუებული ვარ. თქვენ ისე კარგად ითამაშეთ, რომ, ეტყობა, გაზი სზორად უნდა გადაგვეკეთოთ. გამოვებთ, ეს, რა თქმა უნდა, შავი ოუმორია“.

გალსაზ ჯიშვილი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ბიჭების თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, რაც კუთხარით, ყველაფერი უნაკლოდ შეასრულეს, რუსებს ყველაფერში ვაჯობებ. სეზონის ასეთი წარმატებული დებიუტით დაწყება საქმის ნახევარია, მაგრამ მოდუნება არაფრით არ შეიძლება. ისტორიული მეტოქე კი დავამარცხეთ, მაგრამ წინ უფრო მნიშვნელოვანი მატჩები გველის რუმინეთთან და პორტუგალიასთან, აუცილებლად უნდა მოვიგოთ, მსოფლიოს თასის შესა-

რჩევ ვგუფში შედარებით იოლი მეტოქეები რომ შეგვხვდნენ“.

გუსიკ სამაშურიძე: „მართალა ძალიან კარგად ვითამაშეთ. არც კი მახსოვს, ასეთი ლაღი და კომბინაციური რაგები ბოლოს როდის გამოგვივიდა. აწი თუ უნდათ რუსებმა გაზიც გადაკეთონ და შუქიც ჩაგვიქონ. ქართველი ხალხის ჩაგვრა მაინც არ შეუარჩინეთ“.

გიორგი შველიძე: „ვერ ვეტყვი, რომ რუსეთის ნაკრები სუსტია. თავის ქებაში ნუ ჩაგვივლით, დღეს ჩვენ მართლაც კარგად ვითამაშეთ და ამის ფონზე ჩანდნენ რუსები უსუსურად. თუ ამ ტემპით გავაგრძელებთ და ტრავმებს ავცდებით, რუმინეთს სტუმრადაც მოუვებთ“.

ილია ზაღვიანიძე: „ამხელა სხვაობით რუსეთს პირველად მოვუვეთ და პირველად გავიტანეთ ექვსი ლელო. არ იფიქროთ, რომ იოლი მატჩი იყო, შეიძლება ტრიბუნებიდან ასე ჩანდა, მაგრამ მოედანზე მართლაც ომი იყო“.

მეოცის პრემია თასი 2006

| | |
|-----------------------------|-------------|
| 2005. 5 ნოემბერი | |
| შპრანინა 8:46 ჩხებით | |
| 12 ნოემბერი | |
| რუსეთი 52:12 ჩხებით | |
| საქართველო | 1 0 0 +27 3 |
| რუსეთი | 1 0 1 +13 3 |
| ჩხებით | 1 0 1 -2 3 |
| პორტუგალია | 0 0 0 0 0 |
| რუმინეთი | 0 0 0 0 0 |
| შპრანინა | 0 0 1 -38 0 |

25 თებერვალი
რუმინეთი — საქართველო
პორტუგალია — რუსეთი

2007 წლის მსოფლიოს თასის საკვალიზიპაციო

| | |
|------------|---------------|
| საქართველო | 5 0 1 +172 15 |
| რუმინეთი | 4 0 1 +141 12 |
| პორტუგალია | 4 0 1 +38 12 |
| ჩხებით | 3 0 4 -56 9 |
| რუსეთი | 2 0 5 +44 6 |
| შპრანინა | 0 0 6 -339 0 |

მეოცის პრემია 2006



4 თებერვალი. თვიქნები
ინგლისი 47:19 უელსი
ინგლისი: 6 ლელო: ვოისი, დალალიო, დოუსონი, ტინდოლი, მუდი, ქუშტო; 4 ბარდსახხვა: პოჯსონი (2), გუდი (2); 3 სპარჩიმი — პოჯსონი უელსი: 1 ლელო: მ. უილიამსი; 1 ბარდსახხვა: ს. ჯონსი; 2 სპარჩიმი: ს. ჯონსი

გუმინწინ ლონდონში სარაგბო ქომაგობა დიდიდანვე თვიქნემის სტადიონს უტრიალებდა. იქაურ პაბებს ხომ ალბათ კლიენტიც გაუსამშავდათ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, იმპერიის დედაქალაქს ურჩი უელსელები ეწვივნენ, შარშან რომ „ვარდების“ წამოქცევა მოახერხეს

და ექვს ერზეც იპირველეს. შარშანდელი კელტური სასწაული რომ აღარ განმეორდებოდა, ამის ეჭვი ბევრ სპეციალისტს ჰქონდა. „დრაკონთა“ დასამარცხებლად ენდი რობინსონმა ძველი გვარდიიდანაც უხმო რამდენიმე მორაგბეს, მაგალითად, ბენ კოენს და ნაკრებში 17

ა. ვარდები ჩემპიონს ეგალი მმწარა

თვის განმავლობაში უთამაშებელ ლორი დალალიოს.

პირველმა ტაიმმა მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. უელსელებს ცდა არ დაუკლიათ და ცდილობდნენ, მასპინძელთათვის სწრაფი, ეფექტური თამაში მოეზვიათ თავს, თუმც ინგლისელებმა თავიდანვე აგრძობინეს მომხვდურთ, რომ მოედნის ბატონ-პატრონები მთელი მატჩის განმავლობაში თავად იქნებოდნენ.

მეცამეტე წუთზე პირველი ლელო გავიდა. მასპინძლებმა აუტი მოიგეს, ბურთი ცენტრისკენ ჩაათამაშეს და კუეტიმ 25-მეტრიანი რეიდის შემდეგ უელსელთა ჩათვის მოედანს უწია. პოჯსონმა გარდასახა და „ვარდები“ 7:0 დაწინაურდნენ.

ხუთ წუთში „დრაკონთაგან“ სტივენ ჯონსმა იყოჩაღა, საჯარიმო დარტყმით სხვაობა შეამცირა, თუმცა პოჯსონმა რამდენიმე წუთში ხუსტი საჯარიმოთივე უპასუხა.

29-ე წუთზე მუდმივ ისევ ინგლისელთა მოგებული აუტის შემდეგ შეძლო დამიწება, თუმცა ტაიმის დასრულებამდე 7 წუთით ადრე უელსელებმა მოახერხეს ლელოს გატანა. მარტინ უილიამსის 5 ქულას ჯონსმა კიდევ 2 მიამატა და ტაიმიც 15:10-დამთავრდა ინგლისელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში პოჯსონმა 43-ე და 53-ე წუთებზე 2 საჯარიმო გაიტანა. ამით შორის უელსელთა მხრიდან ჯონსის ერთი საჯარიმო გაემორია, შემდეგ კი თამაშის სადავეები ინგლისელებმა ივდეს ხელთ და სტუმრები პირწმინდად დაჩაგრეს.

ტინდოლმა, დალალიომ, დოუსონმა და ვოისმა 4 ლელო გაიტანეს. მასპინძლებმა აქედან 3 გარდასახეს — ერთხელ პოჯსონმა, ორჯერ კი გუდიმ.

„ვარდებმა“ საბოლოოდ 47:13 იმარჯვეს და პირველივე ტურში დამტკიცეს, რომ შარშანდელი სირცხვილის მიუხედავად, წლეულს ექვსთა შორის პირველობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატები არიან.

ლალო ფულუკიძე


4 თებერვალი. ლუბლინი
ირლანდია 26:16 იტალია
ირლანდია: 2 ლელო: ფლანერი, ბოუი; 2 ბარდსახხვა: ოგარა; 4 სპარჩიმი: ოგარა
იტალია: 1 ლელო: მირკო ბერგამასკო; 1 ბარდსახხვა: პეცი; 3 სპარჩიმი: პეცი (2), გრიფინი

5 თებერვალი. ედინბურგი
შოტლანდია 20:16 საფრანგეთი
შოტლანდია: 2 ლელო: ლემონი; 2 ბარდსახხვა: პატერსონი; 2 სპარჩიმი: პატერსონი
საფრანგეთი: 2 ლელო: ბონარი, ბრუნო; 2 სპარჩიმი: ელისაღდი







დიმიტრი დრაგინი



ჰიროუკი აქიმოტო



მასაპირო ტაკამაცუ



გრიგოლ მამრიკიშვილი

იპონეზი იაპონურად



გრიგოლ მამრიკიშვილია ლაშა თიანაძე ირემხვიონა

თბილისის 33-ე საერთაშორისო ტურნირი ისეთი ძლიერი გამოვიდა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რომ არასოდეს ყოფილა. მსოფლიოს თასის სერიის გამხსნელ შეჯიბრზე 17 ქვეყნის 120-მდე ძიუდოსტი შეიკრიბა. მათ შორის ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზორები. ყველაზე ძლიერი შემადგენლობით იაპონელები გვესტუმრნენ და ეს შედეგზეც აისახა. შეიდიდან ოთხ წონაში ჩემპიონი მათი ძიუდოსტი გახდა.

ჩვენებურთაგან დაუმარცხებლად ტურნირი მხოლოდ გრიგოლ მამრიკიშვილმა და ირაკლი ცირეკიძემ ჩამოთარეს. მეშვიდე ოქრო კი მსოფლიოს თასზე ორი შემადგენლობით ჩამოსულ ფრანგებს დარჩათ.

60 კგ

ნახევარფინალში ქართული ოთხეულიდან მხოლოდ ლიდერმა, ნესტორ ხერგიანმა შეაღწია, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, კვარცხლბეკზე ვახტანგ ხოსიტაშვილი ავიდა. მან რეპეშაჟის ფინალში სწორედ ხერგიანს მოუგო, თუმცა საამისოდ ერთი ილეთის გა-

კეთებაც არ დასჭირვებია. ოლიმპიურმა პრიზორმა ნახევარფინალში მიღებული ტრავმის გამო ტატამზე გასვლა ვეღარ შეძლო. ფინალის გზა ნესტორს ფრანგმა დიმიტრი დრაგინმა გადაუკეტა, იქამდე კი მან დავით ასუმბანის დამარცხებაც მოასწრო. ფინალში ფრანგი, ბევრისთვის მოულოდნელად, საკმაოდ იოლად გაუსწორდა იაპონელ ჰიროაკი ჰიროაკას.

მეოთხე ქართველმა, დავით სვიმონიშვილმა, მხოლოდ ერთი ეტაპის გავლა მოახერხა და რუს ივან მარტინოვთან წააგო

66 კგ

ზაზა კედელაშვილმა ქართველთაგან პირველმა გააღწია ფინალში, მაგრამ გადაუმწყვეტ ბრძოლაში უძლიერეს იაპონელ ჰიროუკი აქიმოტოსთან ვერაფერს გახდა. წლევანდელი მიგორო კანოს მემორიალის ჩემპიონს ჩვენებური მანამდეც შეხვედროდა — მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში — და იქაც წააგო.

აკიმოტომდე კედელაშვილმა სამი ძლიერი მეტოქე ჩამოიცილა: სომეხი ევროპრიზორი

არი არმენ ნაზარიანი, საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ჩვენებური, კლუბ „საგარეჯოს“ წევრი რევაზ ზიდირიდიის და ათენის ოლიმპიური თამაშების პრიზორი იორდანის არენსიბია. თან სამივეს ვადაზე ადრე მოუშთავრა საქმე.

მინდია ზომიზურმა მეორე წრეში არენსიბიასთან წააგო და რეპეშაჟზე გადაერთო. ბრინჯაოს გზაზე ფეხი აღარ დასცდენია. ბოლო მეტოქე, რუსი მიხაილ ვერხოლანცევი კი ერთ წუთში დააიპონა.

რეპეშაჟის ფინალს სერგო ციხელაშვილმაც უწია, მაგრამ არენსიბიასთან ვერას გახდა.

73 კგ

ქართული ოთხეულიდან სამმა პირველივე შეხვედრა წააგო. დავით კობერიძემ რუს დიმიტრი ოგიენკოსთან, დავით კუპრაშვილმა სომეხ ზაზაროს გრიგორიანთან, ხოლო ამბაკო ავალიანმა იაპონელ მასაპირო ტაკამაცუსთან. სწორედ ტაკამაცუმ დაგვიმარცხა მეოთხე ჯილა, დავით მარგოშვილიც, თონდ ეს უკვე ფინალში მოხდა. შეხვედრა წუთოსა და ორმოც წამში იპონით დასრულდა. იაპონელამდე მარგოშვილმა ირანელი ზაკარია მორადი, მოლდოველი სერგეი ტომა და ყაზახი კიანიშ ატაშანოვი ჩამოიცილა.

81 კგ

იაპონელთა უძლიერესმა გუნდმა პირველი იმედგაცრუება ამ წონაში იწვნია. მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის პრიზორი და წლევანდელი მიგორო კანოს ჩემპიონი ტაკამი ონო ფინალს მიღმა დარჩა. ჩვენდა გასაზარად, ონო გრიგოლ მამრიკიშვილმა გაამ-

წარა. ეს ნახევარფინალური შეხვედრა გუშინ ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა. იაპონელი ვაზარით დაწინაურდა, თუმცა მამრიკიშვილმა მალევე საპასუხო ვაზარიც გაუკეთა და შებოჭვაზეც გამოიჭირა. მართალია ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო და გარჯა მხოლოდ იუკოდ შეუფასდა, მაგრამ ეს უპირატესობა აღარ გაუნიაგებია.

ფინალში გრიგოლმა კუბელ ოსკარ ბოროტოს ვაზარით სძლია და თბილისის მსოფლიოს თასის ოქრო ზედიზედ მესამედ აწია. საჩემპიონო სულა ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონ ერეკლე კოპალიანისა (რუსეთი) და ძლიერი ირანელის რეზა ჩან ხანდანგის ძლიერ დაიწყო.

კიდევ ერთი უცხოელი ქართველი, ბერძენი ვაჟა ზინტირიდის გრიგოლ შინჯიკაშვილმა დაამარცხა. მეორე წრეში კი იტალიელ ანტონიო ჩიანოს ვერაფერი მოუხერხა. რეპეშაჟში შინჯიკაშვილმა ულაშაჩესი გამარჯვებები მოიპოვა. სომეხი არუთინ სარქისიანი 17 წამში დააიპონა, ხოლო ფრანგი ლუდოვიკ ჯობერი — 28-ში. ბრინჯაოს ფინალში თვით ტაკამი ონოც დაატრიალა და იუკოზე დასცა, მაგრამ ზედმეტმა აქტიურობამ დასანანი შეცდომა დააშეებინა — თავის წამოწყებულ ილეთზე ბეჭებზე დაეარდა.

90 კგ

საჩემპიონო ჰიმნი მეორედ ირაკლი ცირეკიძემ მოგვასმენინა. მიგორო კანოს პრიზორმა ოქროს გზა რუსით დაიწყო და რუსეთვე დაასრულა. შუაში კი იაპონელი ტომიპირო იმაიც დაამწუხრა.



იაპონელი ვარსკვლავი კეიჯი სუტუკი ტატამზე არ გასულა

ეს იყო საუკეთესო



ირაკლი ცირეკიძე



ტაკამასა ანაი



იოშვი ტკაი

ცირეკიძის პირველ ლუკმას ვიქტორ სემინოვს რეპეშაჟის ფინალში მინდია ბოდაველიც საკადრისად გაუსწორდა. ბესიკ ტყემალაძე და სოსო მსხალაძე კი პირველ-მეორე წრეში დამარცხდნენ.

100 კგ

ამ წონაში სულ თოთხმეტმა ძიუდოსტმა მოიყარა თავი. აქედან, ოთხი ქართველი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ნახევარფინალს ერთმაც ვერ მიაღწია. ყველაზე კარგი შთაბეჭდილება რევაზ ჩიკოიძემ დატოვა. ფრანგი კირილ მარეტის ჩამოცილების შემდეგ, ერთხანს, მომავალ ჩემპიონს, იაპონელ ტაკამასა ანაისაც უგუბდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

რეპეშაჟში ჩიკოიძის ბრწყინვალე ჭიდაობამ სპორტის სასახლე არაერთხელ ააუგუნა. გამორჩეულად ლამაზი კი ბრინჯაოს ფინალის დამასრულებელი ფანდი გამოვიდა. ქართველმა ბერძენი დიონისის ილიადისი 55-ე წამზე გააკრა ტატამს.

+100 კგ

ქართველმა რომ ფინალში ვერ იჭიდავა, ამის უმთავრესი მიზეზი უიღბლო კენჭისყრაა. მძიმე წონის ლიდერები ლაშა გუჯეჯრანი და ვიორჯიციზილაშვილი ბადის იმ მხარეს მოხვდნენ, სადაც უძლიერესი იაპონელი იოშვი ტკაი და სტაჟიანი კუბელი ოსკარ ბრისონი. სამწუხაროდ, ქართულ-იაპონური და ქართულ-კუბური დაპირისპირე-

ბები სტუმრების გამარჯვებით დასრულდა, თან ორივე წმინდად.

უფრო დასანანი გუჯეჯრანის ტაკაისგან ძლევა იყო. ქართველმა მსოფლიოს პრიზორმა ასევე მსოფლიოს პრიზორსა და ძიგორო კანოს ჩემპიონ ტაკაის პირველივე წამებიდან შეუტია. რამდენჯერმე კისრულიც წამოიწყო, მაგრამ არ გამოუვიდა. ერთი ასეთი მცდელობა კი მარცხის ფასადაც დაუჯდა. იაპონელი ზემოდან მოექცა და შებოჭა.

რეპეშაჟში გუჯეჯრანმა სამი მეტოქე ჩამოიცილა, მათ შორის, ორი ქართველი — ყიზილაშვილი და ზვიად ჩინჩალაძე, იქამდე კი სომეხი არტურ გასპარიანი და იაპონელი 23 წამში. ერთი შთაბეჭქდავი იაპონი ლაშამ ძირითადი ეტაპის პირველ ტურშიც შეასრულა, თავისზე ერთი თავით მაღალ რუსთან, ოლეგ ზორპიაკოვთან.

ჩვენი ოთხეულიდან ნახევარფინალში მხოლოდ ჩინჩალაძე გავიდა, ბერძენი ვასილიოს ილიადისის ძლევით. ფინალის გზა კი ესტონელმა მარტინ პადარმა სულ რაღაც ოცდაოთხ წამში გადაუკატა.

პადარს ეს რეკორდი ფინალში ტაკაიმ მოუხსნა — იაპონელმა ესტონელი ბეჭებზე მეთოთხმეტე წამზე გააკრა.

**ოთარ მაღლაკელიძე
გუჯაბ დოღენჯაშვილის და
ბადრი კეთილაძის ფოტოები**

- 60 კგ
- 1 დიმიტრი დრავანი (საფრანგეთი)
 - 2 შირაკი შირაკა (იაპონია)
 - 3 ვახტანგ ხოსიტაშვილი (საქართველო)
 - 3 არტურ სრაპიანი (სომხეთი)

- 66 კგ
- 1 შიროუკი აკიმოტო (იაპონია)
 - 2 ზაზა კვედელაშვილი (საქართველო)
 - 3 მინდია ხომიზური (საქართველო)
 - 3 იორდანის არენსიბა (კუბა)

- 73 კგ
- 1 მასაპირო ტაკამაცუ (იაპონია)
 - 2 დავით მარგოშვილი (საქართველო)
 - 3 ზაგარია მორადი (ირანი)
 - 3 დიმიტრი ოგიენო (რუსეთი)

- 81 კგ
- 1 გრიგოლ მამრიკიშვილი (საქართველო)
 - 2 ოსკარ ბოროტო (კუბა)
 - 3 ტაკაში ონი (იაპონია)
 - 3 ანტონიო ჩიანი (იტალია)

- 90 კგ
- 1 ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)
 - 2 ტაგირ ხაიბულაევი (რუსეთი)
 - 3 მინდია ბოდაველი (საქართველო)
 - 3 შორჟე ბენავიდე (კუბა)

- 100 კგ
- 1 ტაკამასა ანაი (იაპონია)
 - 2 როსტისლავ ლისი (ისრაელი)
 - 3 რევაზ ჩიკოიძე (საქართველო)
 - 3 ალექსეი ლედენივი (რუსეთი)

- +100 კგ
- 1 იოშვი ტკაი (იაპონია)
 - 2 მარტინ პადარი (ესტონეთი)
 - 3 ლაშა გუჯეჯრანი (საქართველო)
 - 3 ვლადიმერ გალკინი (რუსეთი)

შოთა ხაბარელი (ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ასეთი სიძლიერის ტურნირი თბილისში ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. იმელები თითქმის ყველამ გაამართლა.

— ცირეკიძისა და მამრიკიშვილისგან ოქროებს ელოდით?

— ტოკიოში ბრწყინვალედ ჭიდაობის მერე ცირეკიძისგან ჩემპიონობას მართლა ველოდი. მამრიკიშვილზე კი საპრიზო ადგილს ვგეგმავდი. იგი ხშირად თავისი შეცდომის გამო მარცხდება ხოლმე. დღევანდელი შეხვედრები ისე იჭიდავა, ერთი უმნიშვნელო შეცდომაც არ დაუშვია. თუ ამ კომპონენტის საბოლოოდ გამოსწორება შეძლო, ძალიან ძლიერ სპორტსმენად ჩამოყალიბდება.

— ხერგანის უმედლოდ დარჩენამ ხომ არ გაგიცრუათ იმედი?

— ნესტორმა ნახევარფინალში ტრავმა მიიღო და ჯერ ისიც კი არ ვიცით, რამდენად სერიოზულია. შესაძლოა, ძვალაც ჰქონდეს გატეხილი. უახლოეს დღეებში ჩაუტარდება გამოკვლევა.

— მძიმე წონაშიც ხომ არ გეგმავდით ოქროს?

— შემადგენლობიდან გამომდინარე, ოქროს დაგეგმვა ძალიან ძნელი იყო. ლაშა გუჯეჯრანის ჭიდაობით კმაყოფილი ვარ. იგი საომავლოდ კიდევ უფრო მოუმატებს.

— ტურნირი მორჩა. წინ ერთობლივი ვარჯიშებია...

— ორშაბათს დილით იაპონიის, საბერძნეთის, კუბისა და აზერბაიჯანის ნაკრებებთან ერთად, ბორჯომში გავემგზავრებით და ოთხი დღე ერთობლივ წვრთნებს გავემართავთ. მერე კი თბილისში დავბრუნდებით და მორიგ საერთაშორისო ტურნირზე წავალთ. შემდეგ შაბათ-კვირას პარიზის მსოფლიოს სუპერთასი გველის. გაზაფხულის ბოლოს ევროპის ჩემპიონატია და მასზე წასაყვანი შეიდეული სწორედ იქამდე გასამართი ტურნირების შედეგებით უნდა დავასრულოთ. თავის გამოჩენის შანსს ყველას მივცემთ.

ოთარ მაღლაკელიძე



| | |
|--------------------------|---------------------------|
| ნახევარფინალი | მესამე ადგილისთვის |
| საფრანგეთი 29:23 სორბათი | დანია 32:27 სორბათი |
| ესპანეთი 34:31 დანია | ფინალი |
| მესამე ადგილისთვის | |
| გერმანია 32:30 რუსეთი | საფრანგეთი 31:23 ესპანეთი |

საფრანგეთი ორჯერ პირველია

ევროპის ორგზის ვერცხლის პრიზიორ ესპანეთისა და ასევე ორჯერ ბრინჯაოს მედალოსან დანიის ნაკრებების ნახევარფინალურ დაპირისპირებაში ფავორიტებად პირინეელი ხელბურთელები ითვლებოდნენ. ბუნებრივია, იმ ტრიუმფალური გამარჯვების შედეგად, რომელიც გასულ წელს ტუნისში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვეს.

თანაც ესპანელთა გუნდი ერთადერთი იყო, რომელსაც შვეიცარიაში მიმდინარე ტურნირზე თამაში არ წაუგო, დანიელები კი მძიმედ გავიდნენ პლეი ოფში.

ვარაუდით გამართლდა — რეიტინგით მაღლა მდგომმა „წითელმა ქარიშხალმა“ დამაჯერებლად მოიგო თამაში, თუმცა შესვენებამდე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. გარდამტეხი მეორე ტაიმი გამოდგა, როცა ესპანელთაგან ყველაზე შედეგიანმა, 25 წლის იკერ რომერო-ფერნანდესმა ოთხ წუთში ზედიზედ ოთხჯერ გაუტანა დანიელებს — 24:20, რომელთაც ამის შემდეგ ერთხელაც ვეღარ შეძლეს ვითარების გათანაბრება.

ფერნანდესმა სულ ათი ზუსტი ტყორცნა მიითვალა. მის გარდა იყოჩაღეს 35 წლის მეკარე დავიდ ბარუფეტმა და ხაზელმა როლანდო ურიოს-ფონსეკამ (5).

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა საფრანგეთმა უფრო ადვილად სძლია მსოფლიოსა და ოლიმპიურ გვირგვინოსან ხორვატიას, ამასთან, რევანში აიღო შარშანდელ ფორუმზე მარცხისთვის — 33:36 და პირველად გავიდა კონტინენტური პირველობის ფინალში.

ამ მატჩის დასაწყისიც თანაბარი იყო, მხოლოდ ტაიმის ბოლოს მოიპოვეს „მამლებმა“ ორგოლიანი უპირატესობა — 12:10. ხორვატებმა ვერ

შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა, 48-ე წუთზე მათი პასივი შეიღ ბურთამდე გაიზარდა და ყველაფერი გაირკვა.

ამრიგად, ფრანგი ხელბურთელები პირველად გავიდნენ ევროფინალში და წუხელ გადაწყვეტ შეხვედრაში მეტი არათუ მოინდომეს, დამსახურებულად მიადწიეს კიდევ ისეთი გაშმაგებით შეუტყეს მსოფლიოს საუკეთესო გუნდს, რომ ტაიმი ოთხბურთიანი სხვაობით მოუგეს — 17:13.

არადა, დასაწყისი ესპანელთათვის საიმედო ჩანდა — 4:1 მეხუთე წუთზე — მერე კი მათი კომპარი დაიწყო, რაზეც ბუნებრივია, მნიშვნელოვნად იმოქმედა საწყის ნახევარ საათში ჩაფლავებამ. მეორე ტაიმში აღარც შეტევა უჭრიდათ, დაცვაც მოიშალა და 10:14 წააგეს.

ბოლო წლებში საგრძნობლად გაახალგაზრდავებულმა საფრანგეთის ნაკრებმა პირველივე გასვლით მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. ამ ისტორიულ წარმატებაში ლომის წილი დაიდეს მსოფლიო გვირგვინოსანთა კარში 11-ჯერ გამტანმა ნიკოლა კარაბატიჩმა და, ბუნებრივია, სახელბურთო სამყაროში ერთ-ერთმა საუკეთესო მწვრთნელმა კლოდ ონესტამ.

სამესამეადგილო მატჩს სხვა დატვირთვაც ახლდა — მოგებული მსოფლიოს საგაიხო ჩემპიონატის საგზურს ინაღლებდა შესარჩევი თამაშების გარეშე.

დანიელებმა ხელჩამოყრილ ხორვატებს სამარცხვინო მარცხი აგემეს და მესამედ დაუფლდნენ ბრინჯაოს მედლებს. ორიოდე წლის წინათ უძვეველეს ექსტრემებს კი ზაფხულში წვალება მოუწევთ 2007 წლის მსოფლიოს ფორუმზე მოსახვედრად.

ბიკ ახალაძე



ზაზა ფაჩულაძე „ორლანდოსთან“ 10 ქულა მოინაგრა

3 თებერვალი

ატლანტა 96:94 ორლანდო
ატლანტა: ჯონსონი (23), აივი (6), პარინგტონი (18), სმიტი (15), ფაჩულაძე (34 წუთი, 10 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა); ლუ (11), ჩილდრესი (7), უილიამსი (6), სტუდემიერი, ბატისტა
ორლანდო: ფრენსისი (30), სტივენსონი (10), ჰოვარდი (24), თურქოღლუ (15), ბათი (9); დუღინი (4), ოგმონი (2), გარტი, კაშუნი, დინერი
ტორონტო 104:90 ნიუ იორკი
გოსტონი 81:98 კლიპერსი
შარლოტი 112:102 ლეიკერსი
ფილადელფია 80:87 დეტროიტი
ჰიუსტონი 100:77 სიეტლი
ნიუტა 89:79 საკრამენტო
პორტლანდი 89:85 მინესოტა

4 თებერვალი

ვაშინგტონი 98:85 ატლანტა
ვაშინგტონი: არენასი (22), ჯეფრისი (6), ბატლერი (18), ჯემისონი (27), ჰეივუდი (7); დანიელსი (10), რუფინი, ტილორი (4), ტომასი (4)
ატლანტა: ჯონსონი (16), აივი (4), პარინგტონი (9), სმიტი (3), ფაჩულაძე (31 წუთი, 13 ქულა, 8 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ლუ (14), ჩილდრესი (12), უილიამსი (9), სტუდემიერი (3), ბატისტა (2)
ფინიქსი 118:101 ჩიკაგო
ფინიქსი: ნეში (21), ბელი (17), დიპუ (11), მერიონი (26), კ. ტომასი (4); პარბოსა (4), ჯონსი (14), პაუსი (14), ბურკი (2), ცმითიშვილი (5 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა), ტომპსონი (3)
ჩიკაგო: ჰაინრიხი, გორდონი (39), დენგი (17), ჩანდლერი (9), პარინგტონი (4); დუშონი, ნოჩიონი (6), სუიტნი (14), პარგო (10), ჯ. ტომასი (2), სონგაიალა, ალფი
ნიუ იორკი 105:92 მიაჩი
ორლანდო 100:91 გოსტონი
კლივლენდი 95:100 ფილადელფია
ინდიანა 93:85 დეტროიტი
ნიუ ორლეანი 106:90 ლეიკერსი
მილუოკი 88:78 მემფისი
დალასი 110:91 სიეტლი
დენვერი 105:104 პორტლანდი
გოლდენ სტიტი 109:77 მინესოტა

აგტორბოლა

WRC მსოფლიო ჩემპიონატი რალიში
მეორე ეტაპი. შპილეთი. 349,0 კმ

რბოლის შედეგები

- მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) — 3სთ; 09.01,9
- სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) — ჩამორჩა 30,9
- დანიელ კარლსონი (შვედეთი, მიცუბისი) — 2.56,8
- ჯანლუიჯი გალი (იტალია, მიცუბისი) — 3.03,8
- ტომას რადსტრიომი (შვედეთი, სუბარუ) — 5.53,3
- კოსტი კატაიაკი (ფინეთი, ფორდი) — 7.34,8
- ზავერ პონსი (ესპანეთი, სიტროენი) — 8.35,6
- ჰენინ სოლბერგი (ნორვეგია, პეჟო) — 9.01,5

საერთო ჩათვლა
1 გრონჰოლმი — რაუტაინენი 20 ქულა 2 ლოები — ელენა 16; 3 ტონი გარდმასტერი — იაკე პინკანენი (ფინეთი, პეჟო) 6; 4 კარლსონი — პოლმსტრანდი 6; 5 მანფრედ შტუალი — ლიკა მინორი (ავსტრია, პეჟო) 5; 6 გალი — ბერნაინი 5; 7 სტეფან სარაზინი — სტეფან პრევი (საფრანგეთი, სუბარუ) 4; 8 რადსტრიომი — სკალმანი 4; 9 კრის ატკინსონი — გლენ მაკნილი (ავსტრალია, სუბარუ) 3; 10 კატაიაკი — ალანე 3

კონსტრუქტორთა თასი
BP-ფორდი 26 ქულა, კრონოს ტოტალ სიტროენი 24, OMV პეჟო ნორვეი 10, სუბარუ WRT 8, სტობარტ VK ფორდ 7, რედ ბულ შკოდა 3

3 თებერვალი
კალვარი 1:3 ვანკუვერი
1:0 0:2 0:1
1:0 იგინლა (20), 1:1 კარტერი (36), 1:2 კესლერი (40), 1:3 პ. სედნი (53)
ვაშინგტონი 4:1 ტორონტო
1:1 1:0 2:0
0:1 სუნდინი (16), 1:1 გრინი (16), 2:1 ლეივი (21), 3:1 კლიმერი (56), 4:1 კლარკი (59)
ნიუ ჯერსი 3:0 კაროლინა
0:0 2:0 1:0
1:0 ელიაში (23), 2:0 პარიზე (27), 3:0 ჯიონტა (49)
ფლორიდა 5:2 ატლანტა
0:1 2:1 3:0
0:1 სავარი (20), 1:1 გრეტონი (34), 1:2 კოზლოვი (36), 2:2 ნუნდაიკი (38), 3:2 სიმი (46), 4:2 გრეტონი (46), 5:2 პორტონი (60)

4 თებერვალი
გუფალო 2:1 ოტავა
1:0 0:1 0:0 1:0 1:0
ბულიტების სერიაში
1:0 კოტალივი (13), 1:1 სმოლენსკი (25), 2:1 გადამწყვეტი ბულიტი: ვანეკი
კოლუმბია 0:3 დეტროიტი
0:0 0:0 0:3
0:1 კლირი (46), 0:2 სამუელსონი (51), 0:3 ლანგი (59)
პიტსბურგი 4:5 აილენდერსი
1:2 1:1 2:1 0:0 0:1
ბულიტების სერიაში
0:1 შატანი (3), 1:1 კროსი (10), 1:2 შატანი (13), 1:3 შატანი (30), 2:3 სუროვი (39), 3:3 რევი (46), 3:4 კამპოლი (53), 4:4 ჯეკმენი (57), 4:5 გადამწყვეტი ბულიტი: შატანი
ნეშვიტონი 6:0 ჩიკაგო
4:0 0:0 2:0
1:0 პარტნელი (9), 2:0 პერო (10), 3:0 ჯონსონი (13), 4:0 პარტნელი (16), 5:0 ერატი (45), 6:0 პარტნელი (60)
ფინიქსი 4:6 მინესოტა
0:0 2:4 2:2
0:1 უოლცი (25), 0:2 გაბორიკი (29), 1:2 რიჩი (32), 1:3 უიტი (34), 1:4 გაბორიკი (35), 2:4 სენდერსონი (39), 3:4 კომბი (42), 3:4 ბუშარი (46), 4:5 სენდერსონი (47), 4:6 უოლცი (53)
ედმონტონი 3:1 ვანკუვერი
1:0 1:1 1:0
1:0 რ. სმიტი (12), 2:0 სტოლი (34), 2:1 დ. სედნი (37), 3:1 ტორესი (49)
სან ხოსე 0:2 ანაჰაიმი
0:0 0:1 0:1
0:1 ფელორუკი (33), 0:2 სელიანე (60) მონრეალი 2:0 ბოსტონი 0:0 0:0 2:0
1:0 მარკოვი (51), 2:0 სურვი (60)
სენტ ლუისი 4:3 დალასი
1:0 2:2 0:1 1:0
1:0 მაკამონდი (18), 1:1 კლემი (23), 1:2 არნოტი (25), 2:2 ორზაგი (36), 3:2 გლუმაკი (37), 3:3 ლეპტინენი (45), 4:3 ჯეკმენი (63)
ფილადელფია 3:4 რინგჰარსი
0:1 1:1 2:1 0:1
0:1 ჰოსა (16), 0:2 ნიულანდერი (28), 1:2 კნუბლი (36), 2:2 კარტერი (42), 3:2 კნუბლი (52), 3:3 სიკორა (60), 3:4 იაგრი (62)

ატლანტა 6:4 ფლორიდა
2:2 2:1 2:1
0:1 პორტონი (4), 1:1 მელანბი (11), 1:2 გლობე (11), 2:2 სავარი (15), 3:2 ბონდრა (23), 3:3 სიმი (29), 4:3 კოვალიჩი (37), 5:3 შტეფანი (47), 6:3 ბონდრა (54), 6:4 გრეტონი (57)
ტორონტო 4:2 ნიუ ჯერსი
3:0 0:0 1:2
1:0 პონიკაროვსკი (1), 2:0 კაბერლე (10), 3:0 პონიკაროვსკი (12), 3:1 ჯიონტა (41), 3:2 მედენი (42), 4:2 კოლერი (60)
ტამპა 5:0 ვაშინგტონი
2:0 2:0 1:0
1:0 ფედოტენკო (1), 2:0 კრეიგი (16), 3:0 რიჩარდსი (36), 4:0 რიჩარდსი (39), 5:0 მილი (57)
მონრეალი 2:0 გოსტონი
0:0 0:0 2:0
1:0 მარკოვი (51), 2:0 სურვი (60)



ფინალური მატჩის გმირმა ნიკოლა კარაბატიჩმა მსოფლიოს ჩემპიონი ესპანელები თერთმეტჯერ გაამწარა

სარბიელი & კროკო



ნარკოზიდგანთ

სხვა სახის ფონებს გაეცნობით აღგილზე

| 1 X 2 1-X 1-2 X-2 | | | | | | | | 1 X 2 1-X 1-2 X-2 | | | | | | | | | |
|--|-----|------------------------|------|------|-------|------|------|---|--|-----|----------------------|------|------|-------|------|------|------|
| ინგლისი ჩემპიონატი 6 თებერვალი | | | | | | | | პორტუგალია სუპერლიგა 6 თებერვალი | | | | | | | | | |
| 23:45 | 14 | შეფილდი-უოტფორდი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 | 23:45 | 294 | პორტუ-ბრაგა | 1.60 | 3.60 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.12 |
| ინგლისი I ლიგა 7 თებერვალი | | | | | | | | საბერძნეთი 6 თებერვალი | | | | | | | | | |
| 23:45 | 28 | კოლჩესტერი-სვანთორპი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 | 23:00 | 399 | ოლიმპიკოსი-კალითეა | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
